საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №305
2022 წლის 9 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ბიუჯეტის განმკარგველის – 5152 – ა(ა)იპ – „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1513	5153	ა(ა)იპ „გურჯაანის გარე განათების სამსახური“;
1514	5154	ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება“;
1515	5155	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“

2. დანართ №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 7347 – „სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ მომსახურების საფასური ლიცენზირებული/ავტორიზებული დაწესებულებებიდან“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7348“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**